საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №110/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 18 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 5 სექტემბრის №110/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მისი სარჩელის განხილვის ვადის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 5 ივლისს -- -- წარადგინა სარჩელი, მოპასუხის - -- -- და -- -- მიმართ, ზიანის ანაზღაურების (-- ლარი) მოთხოვნით. საქმე განსახილველად დაეწერა მოსამართლე -- --.

სარჩელი გაეგზავნათ მოპასუხეებს, თუმცა ვინაიდან ერთ-ერთ მათგანს არ ჩაბარდა, 2016 წლის 27 ივლისის განჩინებით, მოპასუხე -- -- სარჩელის შესახებ ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით. სარჩელი გამოქვეყნდა 2016 წლის 28 ივლისიდან - 2016 წლის 4 აგვისტოს ჩათვლით.

2016 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 27 ოქტომბერს. პროცესის შესახებ მოპასუხე -- -- ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით, განჩინება გამოქვეყნდა 2016 წლის 17 ოქტომბერს.

2016 წლის 27 ოქტომბრის სხდომის მიმდინარეობა გაგრძელდა 2016 წლის 14 ნოემბერს.

2016 წლის 11 ნოემბერს მოსარჩელემ -- -- წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, რის გამოც 2016 წლის 14 ნოემბრის სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის, მოპასუხეებს განესაზღვრათ ვადა დაზუსტებულ სარჩელზე შესაგებლის წარმოსადგენად.

2016 წლის 22 ნოემბერს -- -- წარადგინა შესაგებელი, ხოლო მოპასუხე -- -- დაზუსტებული სარჩელის შესახებ ეცნობა 2016 წლის 28 ნოემბერს.

შემდგომი მოსამზადებელი სხდომა მოსამართლე -- -- დანიშნა 2017 წლის 6 აპრილს. სხდომის შესახებ მოპასუხე -- -- კვლავ ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით.

საქმეში დევს მოსამართლის მდივნის ცნობა, სადაც მითითებულია, რომ 2017 წლის 6 აპრილს დანიშნული სხდომა, მოსამართლის არყოფნის გამო გადაინიშნა 2017 წლის 30 მაისს.

2017 წლის 30 მაისის სხდომა მოსამართლის არ ყოფნის გამო გადაიდო სხვა დროისთვის.

2017 წლის 30 მაისის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

მოსამართლემ სხდომა ჩაატარა 1 წლისა და 2 თვის შემდგომ (14.08.2018 წელი). შემდგომი სხდომა გადაინიშნა 2018 წლის 1 ოქტომბერს, რომლის განხილვა გაგრძელდა 2018 წლის 19 ოქტომბერს.

მოსამართლემ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო 2018 წლის 26 ნოემბერს. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ

გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის ადგენს, რომ ,,ყველას აქვს ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება“. ვადების განსაზღვრა ფუნდამენტური ნაბიჯია იმისთვის, რომ გაიზომოს და შეფასდეს საქმისწარმოების ეფექტიანობა. მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს 1) სამუშაო დატვირთვას, რაშიც იგულისხმება მთლიანი სამუშაო, რასაც სასამართლო ან მოსამართლეები ახორციელებენ. ეს არის სასამართლოსა და მოსამართლეების მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობის ერთობლიობა. 2) განსახილველად დაგროვებული საქმეების რაოდენობა - არის საქმეების რაოდენობა, რომლებიც სასამართლომ, ან მოსამართლემ უნდა განიხილოს. 3) განსახილველი საქმეები - საქმეების რაოდენობა, რომლებიც მოსამართლემ უნდა განიხილოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. 4) ვადები - დროის გარკვეული პერიოდიი, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული საქმეების გარკვეულ რაოდენობასთან, ან პროცენტთან დაკავშირებით, საქმეების ხანდაზმულობის გათვალისიწნებით. 5) განუხილველი საქმეები - ეს არის დაგროვილი საქმეების რაოდენობა ან პროცენტი, რომლბიც დადგენილ ვადაში არ იქნა განხილული.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს, შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

მოსამართლეს საქმე განსახილველად გადაეცა 2016 წლის 5 ივლისს. სარჩელი მოპასუხეებს ჩაბარდათ 2016 წლის 4 აგვისტოს. საქმის განხილვისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა უნდა მოხდეს კონკრეტული თარიღიდან. მოსამართლემ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო 2018

წლის 26 ნოემბერს. მოსამართლე -- -- წარმოებაში საქმე იხილებოდა - 2 წელი და 3 თვემდე ვადით. მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობა და მისი დატვირთულობის ხარისხი.

-- -- რაიონული სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2017 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 946 საქმე (სამოქალაქო სარჩელი 637, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 105, სისხლის სამართლის საქმე 47, სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო შუამდგომლობები 157), საიდანაც დასრულდა - 524 საქმე (55%).

საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდის და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებების შეფასების მიხედვით, მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება საქმის განხილვის ბრალეული „უსაფუძვლო" გაჭიანურების ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე N110/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი